



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საქართველოს მთავარი პროკურატურის

010175082491113

06 / მარტი / 2013 წ.

KA010175082491113
ქ.თბილისი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა 30

საცხოვრებელი ფართისა (ბინა) და მასზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საქართველოს მთავარი პროკურატურის ბალანსიდან მოხსნის შესახებ

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მეოთხე პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. ყაზბეგის რაიონში, სოფელ გუდაურში მდებარე შენობა-ნაგებობის მე-4 სართულზე ბინა №69-ში არსებული 79,50 კვ.მ საცხოვრებელი ფართი და მასზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის(უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №74.06.11.046.01.069), საწყისი ღირებულებით 96756 (ოთხმოცდათექვსმეტი ათას შვიდას ორმოცდათექვსმეტი) ლარი, ხოლო ნარჩენი ღირებულებით - 93853,32 (ოთხმოცდაცამეტი ათას რვაას ორმოცდაცამეტი ლარი და 32 თეთრი) ლარი, მოხსნილ იქნას საქართველოს მთავარი პროკურატურის ბალანსიდან;

2. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის

2013 წლის 25 თებერვლის №5/3900 წერილი.

საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილე

შოთა რეხვიაშვილი

021728883121013

KA021728883121013

**სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო****NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY**

თბილისი 0108, გ.ჭანტურიას ქ.12

ტელ +995 (32) 2 991 088; +995 (32) 2 991 089

12 G. Chanturia Str., 0108 Tbilisi, Georgia

Phone: +995 (32) 2 991 088; +995(32) 2 991 089

N6/1412

25 / იანვარი / 2013 წ.

საქართველოს მთავარ პროკურატურას

გაცნობებთ, რომ სსიპ "სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს" მიერ იგეგმება ყაზბეგის რაიონში, სოფ. გუდაურში მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებული 79,50 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის (ბინა №69) და მასზე დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 74.06.11.046.01.069) პრივატიზება.

ამასთან, გაცნობებთ, რომ ზემოთაღნიშნული ქონება 2010 წელს სარგებლობის უფლებით გადაცემულია საქართველოს მთავარ პროკურატურაზე.

გთხოვთ, განიხილოთ წერილში დასმული საკითხი და მოგვაწოდოთ თქვენი მოსაზრება ზემოთაღნიშნულ ქონებაზე სარგებლობის უფლების გაუქმების შესახებ.

დანართი; 2 ფურცელი.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო,
სააგენტოს თავმჯდომარე

დimitრი ქუმსიშვილი



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საქართველოს მთავარი პროკურატურა
Ministry of Justice of Georgia
Office of Chief Prosecutor of Georgia

010103882642413

KA010103882642413

№ 13/13131

01 / თებერვალი / 2013 წ.

ქ.თბილისი

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული
სააგენტოს თავმჯდომარეს
ბატონ დიმიტრი ქუშიშვილს

ასლი: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს

ბატონო დიმიტრი,

2013 წლის 25 იანვრის N6/1412 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურა თანახმაა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გაუქმდეს სარგებლობის უფლება და შემდგომი განკარგვის მიზნით გადაეცეს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს“ ყაზბეგის რაიონში, სოფელ გუდაურში მდებარე 79.50 კვ.მ. საცხოვრებელი ფართი (IV სართული, ბინა №69) და მასზე დამატებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 74.06.11.046.01.069), საწყისი ღირებულებით 96 756 (ოთხმოცდათექვსმეტი ათას შვიდას ორმოცდათექვსმეტი) ლარი, ხოლო ნარჩენი ღირებულებით 93 853.32 (ოთხმოცდაცამეტი ათას რვაას ორმოცდაცამეტი ლარი და 32 თეთრი) ლარი.

პატივისცემით,

საქართველოს პროკურატურა, საქართველოს მთავარი
პროკურორის მოადგილე

შოთა რეზიაშვილი

021734738914613

KA021734738914613

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტოNATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTYთბილისი 0108, გ. ჭანტურის ქ. 12
ტელ: +995 (32) 2 991 088; +995 (32) 2 991 08912 G. Chanturia Str., 0108 Tbilisi, Georgia
Phone: +995 (32) 2 991 088; +995(32) 2 991 089

N5/3900

25 / თებერვალი / 2013 წ.

**საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს
ვაზბეგის სარეგისტრაციო სამსახურს
ასლი: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს
საქართველოს მთავარ პროკურატურას**

გთხოვთ, შეიტანოთ ცვლილება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვაზბეგის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2010 წლის 6 ივლისს გაცემულ №882010679621 ამონაწერში (მიწის /უძრავი ქონების/ საკადასტრო კოდი №74.06.11.046.01.069) კერძოდ: გააუქმოთ ვაზბეგის რაიონში, სოფელ გუდაურში მდებარე შენობა-ნაგებობის მე-4 სართულზე, ბინა №69-ში არსებულ 79.50 კვ.მ. ფართზე და მასზე წილობრივად დამაგრებულ მიწის ნაკვეთზე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საქართველოს მთავარი პროკურატურის სარგებლობის უფლების ჩანაწერი (რეგისტრაციის №882010679621, თარიღი 06.07.2010) და გასცეთ ახალი ამონაწერი.

წერილთან ერთად გიგზავნით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საქართველოს მთავარი პროკურატურის 01.02.2013წ. №13/13131 წერილს.

ამასთან, ერთად გაცნობებთ, რომ შესაბამისი ქმედების განხორციელებაზე უფლებამოსილება ენიჭება სსიპ "სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს" სახელმწიფო ქონების მართვის დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტს მარიამ ბირინაშვილს.

დანართი:1 ფურცელი.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო,
სააგენტოს თავმჯდომარე

დირექტორი ქუმისიშვილი